ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ქ. ონი

N 332
12/02/2021

332-02-4-202102121019

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე და ე.ვ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურებისათვის სამუშაო ჯგუფი შემდეგი ფუნქციებით:

დავით ჩიკვაიძე-მუნიციპალიტეტის მერი	პროცესის საერთო ხელმძღვანელობა;
ბაჩანა მარკოიშვილი-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;
იმედა მეშვილდიშვილი-მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე	მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;
მირანდა მეტრეველი-მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი	ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით;
თეიმურაზ გრძელიშვილი-მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული	საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის

ერთეულის-სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი	მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება;
გივი ბენდიანიშვილი-ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი	საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება,
მანანა გობეჯიშვილი-მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეკრულებით აყვანილი პირი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის;
თინათინ ბროლაშვილი-მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი	პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა;
მარიამი გობეჯიშვილი-მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების უფროსი	მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა;

2. სამუშაო ჯგუფი შეიკრიბოს ყოველკვირეულად, საჭიროებისას - უფრო ხშირად. სამუშაო ჯგუფის მოწვევას ახდენს მერი ან პროცესზე პასუხისმგებელი მერის მოადგილე.
3. სამუშაო ჯგუფის წევრებმა უნდა იმსჯელონ და განსაზღვრონ მუნიციპალიტეტის დასახლებებში საერთო კრებების სხდომებისა და კონსულტაციების ჩატარების, დასახლებებისათვის საორიენტაციოდ გამოყოფილი თანხების ოდენობების, მათი ეფექტურად გამოყენების გზები და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხები.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში(მის: ქ. ამბროლაურის, კოსტავას ქ.N13).

ეკა მაისურაძე

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

.